დანართი №2

საქართველოს კლინიკების ასოციაცია

საკანონმდებლო წინადადება

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში'' 44-ე მუხლში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო წინადადება შემუშავებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კლინიკების ასოციაციის'' მიერ და გეგზავნებათ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის შესაბამისად.

მასმედიის საშუალებით, ბოლო პერიოდში, იმატა ექიმებისა და სხვა სამედიცინო პერსონალის მიმართ დაუსაბუთებელი ფაქტების გავრცელებამ და უსაფუძვლო ბრალდებებმა. უდანაშაულობის პრეზუმფციის მსგავსი სახით გაუთვალისწინებლობა იწვევს სამედიცინო პერსონალის უფლებების უხეშ დარღვევას, მათი ღირსებისა და პატივის განზრახ შელახვას. მიგვაჩნია, რომ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული თითოეული ფაქტი უნდა იყოს მყარად არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს ექსპერტიზის დასკვნას, სამედიცინო საქმიანობაზე ზემდგომი მარეგულირებელი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ამავდროულად, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან, იმატა სამედიცინო დაწესებულებებში ძალით შეჭრის, დარბევისა და პიკეტირების ფაქტებმა. მსგავსი ფორმებით სამედიცინო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა, ახდენს სამედიცინო პერსონალზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, პრობლემას უქმნის და აფერხებს სხვა ბენეფიციარი პაციენტებისთვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევის უზრუნველყოფას და შესაბამისად ლახავს სხვა პაციენტების უფლებებსა და ინტერესებს. თითოეული სამედიცინო დაწესებულების ან კონკრეტული ექიმის უკან დგას პაციენტთა გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც აქვთ უზომოდ დიდი ნდობა, რწმენა და იმედი აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების ან კონკრეტული ექიმის მიმართ, აღნიშნულიდან გამომდინარე სამედიცინო დაწესებულების ან ექიმის პატივისა და ღირსების ხელაღებით შებღალვა იწვევს, არა მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის შეურაცყოფას, არამედ პაციენტთა დიდი ნაწილის ფსიქოლოგიურად დათგრუნვასა და იმედგაცრუებას.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი ასოციაციის მიერ შემუშავდა გარკვეული საკანონმდებლო წინადადება, რომლის საფუძველზეც გვსურს მოხდეს შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების ინიცირება საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც აღმოფხვრის მსგავსი კაზუსის პრობლემებს საკანონმდებლო დონეზე.

❖

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მუხლი 44[13]-ის სახით დაემატოს შემდეგი ნაწილი

სამედიცინო საქმიანობის დროს, ექიმის მიერ დაშვებული გადაცდომის ან შეცდომის ან ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მასმედიის საშუალებით, ღიად საუბარი, ექსპერტიზის დასკვნის, სამედიცინო საქმიანობაზე ზემდგომი მარეგულირებელი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე -

ა) გამოიწვევს მასმედიის საშუალების ან/და მასმედიის წარმომადგენლის ან/და სუბიექტის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. ამავე დროს დაეკისრება ვალდებულება მასმედიის იმავე საშუალებით უარჰყოს მის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია;

ბ) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს მასმედიის საშუალების ან/და მასმედიის წარმომადგენლის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

❖

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მუხლი 44[14]-ის სახით დაემატოს შემდეგი ნაწილი

სამედიცინო საქმიანობის დროს, პაციენტის ან პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან, ექიმისთვის ან სხვა სამედიცინო პერსონალისთვის, რაიმე ფორმით ხელის შეშლა, ექიმის პატივისა და ღირსების შელახვა, ექიმზე ფიზიკური ზემოქმედება ან ფსიქოლოგიური ზეწოლა, რაიმე სახით ძალადობა ან მუქარა -

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

❖

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მუხლი 44[15]-ის სახით დაემატოს შემდეგი ნაწილი

სამედიცინო დაწესებულებაში პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ძალით შეჭრა, რაიმე ფორმით მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა; სამედიცინო პერსონალის პირადი ნივთების, სამედიცინო დაწესებულების ექსტერიერის, ინტერიერის, აპარატურის ან ინვენტარის განზრახ დაზიანება -

ა) გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

ბ) იგივე ქმედება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ გამოიწვევს ჯგუფის თითოეული წევრის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

❖

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მუხლი 44[16]-ის სახით დაემატოს შემდეგი ნაწილი

სამედიცინო დაწესებულების ტერიტორიაზე პაციენტის, პაციენტის ახლობლის ან სხვა პირთა ჯგუფის მიერ, ნებისმიერი ფორმით პროტესტის გამოხატვა, რომელმაც გამოიწვია

სამედიცინო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება, სხვა ბენეფიციარი პაციენტების უფლებებისა და ინტერესების შელახვა, მათთვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევაში ხელის შეშლა -

ა) გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

ბ) პირთა ჯგუფის თითოეული წევრის დაჯარიმებას **2000** ლარის ოდენობით.

მოცემული დამატებები აღმოფხვრის სამედიცინო სფეროში ზემოაღნიშნულ პრობლემებს და ქმედით ხასიათს შესძენს კანონმდებლობას, რითაც ხელი შეეწყობა კანონმდებლის ნების რეალურ ცხოვრებაში არსებითად რეალიზაციას.

საქართველოს კლინიკების ასოციაცია
11.05.2018

საქართველოს კლინიკების ასოციაცია
ASSOCIATION OF GEORGIAN CLINICS
402043310